ოქმი:**ო63. 63240223**
თარიღი:**22/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. სამტრედია 15 იანვარი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 15 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას, თავმჯდომარეობით ჩატარდა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი ლეჟავა, ნათია პაპავა, ლიზა კრავეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ლეჟავა/

2**.** სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (7) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (7) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გიორგი ლეჟავამ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა.

აზრი გამოთქვა: გიორგი ლეჟავამ.

გიორგი ლეჟავა- მინდა წარმოგიდგინოთ, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვიხილოთ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ სამუშაო გეგმაში ცვლილების შეტანა.

	განსახილველი საკითხები	**განხილვის ვადა**	**პასუხისმგებელი შესრულებაზე**	**შენიშვნა**
N	**2**	**3**	**4**	**5**
1	კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება.	იანვარი	კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა	
2	2024 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის განხილვა	კვარტლურად	გ.ლეჟავა	
3	მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ყოველკვარტლურად	გ. ლეჟავა ტ. დვალიშვილი ლ. გრიგოლია	
4	ა.(ა)ი.პ. სახლი ,,თანადგომა“- ს დირექტორის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ივნისი, დეკემბერი	მ. ბოხუა ლ. კრავეიშვილი	
5	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოც. საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.	ივლისი, დეკემბერი	ლ. ახობაძე ნ. პაპავა	
6	ა. (ა)ი.პ.საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ	ივნისი, დეკემბერი	მ. თევზაძე ნ. პაპავა	
7	ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ	ივლისი, ნოემბერი	შ. ჭაფოძე ტ. დვალიშვილი	
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ბიუჯეტის შესრულების	ყოველკვარტლურად	ლ. ახობაძე კ. ძიძიგური	

	მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.			
9	კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზესამართლებრივი დასკვნების მომზადება	წლის განმავლობაში	გ. ლეჟავა ი. მჟავია	
10	კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა.	დეკემბერი	გ. ლეჟავა	
11.	მოქალაქეთა განცხადებისა და თხოვნების განხილვა წლის განმავლობაში	წლის განმავლობაში	გ. ლეჟავა ლ. ჩორგოლაშვილი	

საკითხის ირგვლის შენიშვნა არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ, მიიღეს ცნობად.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (7) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული განხილულ და დამტკიცებულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

გიორგი ლეჟავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი